

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”**

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომის**

**ოქმი**

**1 დეკემბერი, 2011 წელი**

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:**

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:00

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:** ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ცისმარი ონიანი, იოსებ ბარათაშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, ზვიად კორძაძე, გონა სვანიძე.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება;
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;
3. ვერა ჩაგუნავას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ;
4. 2011 წლის 10 დეკემბერს ჩანიშნული ასოციაციის საერთო კრებისთვის სამანდატო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება;
5. JILEP-ის პროექტის ფარგლებში, ზაზა ბიბილაშვილის ასოციაციის წარმომადგენლად დანიშვნის საკითხი “კოალიციაში დამუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” .

**გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ე ს :**

1. დაკმაყოფილდეს ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის მოთხოვნას.
2. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან

საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე.

3. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის, “გ” ქვეპუნქტის თანახმად, ვერა ჩაგუნავას განცხადება ასოციაციაში გაწვევრიანების შესახებ არ დაკმაყოფილდეს. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს აღნიშნულ პირს.
4. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით.
5. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის თანახმად დაკმაყოფილდეს გიორგი ოზბეთელაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწვევრიანების თაობაზე და ამავე კანონის მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის და 21<sup>2</sup> მუხლის, 1 პუნქტის, “ა” ქვეპუნქტის თანახმად, გიორგი ოზბეთელაშვილს შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა.
6. JILEP-ის პროექტის ფარგლებში, “კოალიციაში დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” ასოციაციის წარმომადგენლად დამტკიცებულ იქნას ზაზა ბიბილაშვილის კანდიდატურა. ზაზა ბიბილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება ასოციაციის სახელით მიიღოს მონაწილეობა კოალიციის სამუშაო ჯგუფებში, ხმის მიცემის პროცედურაში და კოალიციის წესდებით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა საქმიანობაში.

**ზაზა ხატიაშვილი**

**ასოციაციის თავმჯდომარე**